

## მე-6 კლასი

### ძირითადი დავალებები (100 ქულა)

#### მარტივი არითმეტიკა (20 ქულა)

- ქვემოთ მოცემული გამოსახულებებიდან რომლის პასუხია უმცირესი?  
A)  $16: (8: (4: 2))$  B)  $(16: 8): (4: 2)$  C)  $16: (8: 4): 2$
- მოცემულია:  $9 \blacksquare 8 \blacksquare 7 \blacksquare 6 \blacksquare 3$ . თუ  $\blacksquare$  – ების ნაცვლად ჩავსვათ  $+$ ,  $-$ ,  $:$ ,  $\times$  ოთხივე არითმეტიკული ოპერაციას, ყველაზე დიდი რა პასუხი შეიძლება მივიღოთ?  
A) 77 B) 65 C) 63

#### ნატურალური რიცხვები (20 ქულა)

- რამდენი კენტი რიცხვია 46-დან 78-მდე? (5 ქულა)  
A) 16 B) 17 C) 18
- რა ნაშთს გვაძლევს 2019 მის ციფრთა ჯამზე გაყოფისას? (5 ქულა)  
A) 9 B) 3 C) 1
- რამდენით მეტია 3-დან 102-ის ჩათვლით რიცხვების ჯამი 1-დან 100-ის ჩათვლით რიცხვების ჯამზე? (10 ქულა)  
A) 1-ით B) 201-ით C) 200-ით

#### ამოცანები გამოთვლაზე (30 ქულა)

- ვანომ თანაბარი სიჩქარით 4სთ-ში 280კმ გაიარა. უკან დაბრუნებისას რა სიჩქარით უნდა იაროს, რომ 30წთ-ით ადრე დაბრუნდეს?  
A) 65კმ/სთ B) 70კმ/სთ C) 80კმ/სთ
- სოფოს 4 სამაჯური აქვს, ლანას სოფოზე მეტი, ხოლო თამარს უფრო მეტი ვიდრე ლანას და სოფოს ერთად. სულ მცირე რამდენი სამაჯური შეიძლება ჰქონდეს სამივე ბავშვს ერთად?  
A) 19 B) 18 C) 17
- კლასში 24 მოსწავლეა. გოგონები 8-ით ნაკლებია ბიჭებზე. მთელი კლასის რა ნაწილია ბიჭები?  
A)  $\frac{2}{5}$  B)  $\frac{2}{3}$  C)  $\frac{3}{4}$

#### რაც შეიძლება ბევრი, რაც შეიძლება ცოტა (30 ქულა)

- რიცხვებიდან 749, 827, 573, 341, 516, 459, 923 სულ მცირე რამდენი რიცხვი უნდა წავშალოთ, რომ დარჩენილებიდან ნებისმიერ ორს ჰქონდეს ერთი ციფრი მაინც საერთო?  
A) 5 B) 3 C) 2
- კვადრატი მასზე დიდი გვერდის მქონე მაქსიმუმ რამდენ კვადრატს შეიძლება ესაზღვრებოდეს. (საერთო წვეროს მქონე კვადრატები არ ითვლება მოსაზღვრედ)  
A) 2-ს B) 3-ს C) 4-ს

## ბონუს დავალებები (30 ქულა)

### შეკითხვები ფინანსური განათლებიდან:

1. თუ მასში სანდროს შემოსავალი 100 ლარით გაიზარდა, მაგრამ, ასევე, გაიზარდა მისი ყოველდღიური ხარჯი 2 ლარით, მაშინ რამდენი ლარით გაიზრდება მასის თვეში სანდროს დანაზოგი?  
A) 38  
B) 40  
C) 160
2. სახლის გვერდით მაღაზიაში შაქარი 2 ლარი ღირს, ქალაქის გარეუბანში კი 1 ლარი და 70 თეთრი. გარეუბნის მაღაზიამდე მისვლა-მოსვლას 1 ლარი და 50 თეთრი სჭირდება. სულ მცირე, რამდენი კილოგრამი შაქრისთვის ღირს გარეუბანში წასვლა, 2 ლარი მაინც რომ დაგვეზოგოს?  
A) 12კგ  
B) 15კგ  
C) 18კგ

### ლიდერი კომპანიების კითხვები მომავალ ლიდერებს:

#### „კრისტალის“ ბონუს კითხვა:

3. სახლიდან სიტბოს კარგვის შესამცირებლად, გიამ კვადრატული ფანჯრის მინაზე სიტბოს დამზოგი გამჭვირვალე ფირი გააკრა. რა არის ამ ფირის ფართობი, თუ ფანჯრის მინის გვერდის სიგრძე 20 სანტიმეტრია?  
A) 400კვ.სმ.  
B) 40კვ.სმ  
C) ვერ დავადგენთ

#### „ლიბერთი ბანკის“ ბონუს კითხვა:

4. რა თანხა ექნება კოკას ანგარიშზე წლის ბოლოს, თუ ლიბერთი ბანკი მას ყოველ შეტანილ ლარზე წელიწადში 9,25 თეთრს არიცხავს და კოკამ წლის დასაწყისში 100 ლარი შეიტანა?  
A) 109,25  
B) 100 ლარი და 9,25 თეთრი  
C) ვერ დავადგენთ, რადგან არ ვიცით საწყისი ნაშთი და წლის განმავლობაში ანაზრიდან გატანილი და შეტანილი თანხების ოდენობა

#### „ბიუ-ბიუს“ ბონუს კითხვა:

5. რამდენ კილოგრამს იწონის „ბიუ-ბიუს“ ნედლი ქათამი, თუ მისი წონა უდრის 1 კგ-ს დამატებული საკუთარი წონის ნახევარი?  
A) 1კგ-ს და 500 გრამს  
B) 2 კგ-ს  
C) ვერ დავადგენთ

### წარმატების კიდევ ერთი შანსი მაგთისგან \* :

6. რატი მაგთიკომის მომხმარებელია. მას ბევრი მეგობარი ჰყავს და ხშირად უწევს მათთან ტელეფონით კომუნიკაცია. ამიტომ მას სურს გონივრული არჩევანი გააკეთოს მაგთიკომის სხვადასხვა შემოთავაზებას შორის. მოცემული პირობის მიხედვით, რომელი შეთავაზება იქნება საუკეთესო რატისთვის, თუ თვეში რატი:
  - სატელეფონო საუბარზე ხარჯავს 300 წუთს;
  - გზავნის 300 SMS-ს;
  - იყენებს 1000 მბ ინტერნეტს;A) გაგზავნოს 1 SMS - 6 თეთრად, ისაუბროს წუთში - 24 თეთრად; გამოიყენოს 1 მბ ინტერნეტი - 10 თეთრად;  
B) იყიდოს 300 წთ სალაპარაკო დრო - 30 ლარად; 1000მბ ინტერნეტი - 5 ლარად, 400 SMS – 2.5 ლარად;  
C) იყიდოს პაკეტი „მარტივი 25“ (ინტერნეტი-1000 მბ, SMS და ზარები ულიმიტო) 25 ლარად;

\* გაეცი ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მბ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.